ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის
მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი - ამბარცუმ ბაბოიან

თანამდებობის დასახელება - ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

ფრაქციის დასახელება - ფრაქცია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო"

კომისი(ებ)ის დასახელება

- ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია;
- ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია.

არჩევის წესი (მაჟორიტარული ოლქის მითითებით) - # 37.03 ქალაქ ახალციხის მაჟორიტარული ოლქი

საანგარიშო პერიოდი - 01.01.2023 წ - დან 01.11.2023წ. - მდე.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა
01.01.2023 წ.- დან 01.11.2023 წ. - მდე საკრებულოს სხდომების რაოდენობა - 10

საკრებულოს სხდომაზე დასწრება - 10

სულ კომისიის სხდომების რაოდენობა 2023 წელს:

- ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია, კომისიის სხდომების რაოდენობა - 3, ესწრებოდა - 3 სხდომას.
- ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია, კომისიის სხდომების რაოდენობა - 4, ესწრებოდა - 1 სხდომას.

მ/შ დროებითი კომისიები

- „ახალციხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების მიზნობრივად გაცემის მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის" (სოციალური საკითხები) წევრი - სხდომების რაოდენობა - 54, ესწრებოდა - 41 სხდომას;

- ,,ახალციხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების მიზნობრივად გაცემის მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის'' (ჯანდაცვის საკითხები) წევრი - სხდომების რაოდენობა - 46, ესწრებოდა - 36 სხდომას;

- ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან, თანხის განკარგვის მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის წევრი - სხდომების რაოდენობა - 21, ესწრებოდა - 16 სხდომას;

- ახალციხის მუნიციპალიტეტის დასახლებებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის წევრი - სხდომების რაოდენობა - 2, ესწრებოდა - 1 სხდომას;

- ახალციხის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების სამუშაო ჯგუფის სხდომების რაოდენობა - 1, სხდომებზე დასწრება - 1.

სულ ფრაქცია ,,ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო''-ს სხდომების რაოდენობა - 2 სხდომა;

ფრაქცია ,,ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო''-ს სხდომებზე დასწრება - 2 სხდომა.

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომებზე ჩემს მიერ დაისვა შემდეგი საკითხები:

- სოციალური დახმარების პაკეტში ახალშობილთათვის გათვალისწინებული დახმარების თითოეულ პუნქტში 50 ლარის ოდენობით გაზრდის საკითხი;
- ,,ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და გადასახადის განაკვეთების განსაზღვრის შესახებ'' ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 იანვრის დადგენილებაში ცვლილების შეტანა. აღნიშნული დადგენილებით, შემოღებულია საკრებულოს მიერ შეღავათები. კერძოდ, დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-9 მუხლით: ,,მუხლი 9. შესაბამისი დასაბეგრი ობიექტის მიხედვით, ქონების გადასახადისაგან განთავისუფლდეს: 1. ქალაქ ახალციხეში მდებარე საცხოვრებელ სახლზე მიმაგრებული მიწის ნაკვეთები (მათ შორის, ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებული ინდივიდუალური ბინათმშენებლობის მიწის ნაკვეთები), რომლის ფართობი არ აღემატება 600 კვადრატულ მეტრს. 2. ახალციხის მუნიციპალიტეტის დასახლებულ პუნქტებში (გარდა ქალაქ ახალციხისა) მდებარე საცხოვრებელ სახლზე მიმაგრებული მიწის ნაკვეთები (მათ შორის, ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებული ინდივიდუალური ბინათმშენებლობის მიწის ნაკვეთები), რომლის ფართობი არ აღემატება 2000 კვადრატულ მეტრს. 3. ავტოფარეხზე მიმაგრებული მიწის ნაკვეთები, რომელთა ფართობი არ აღემატება 30 კვადრატულ მეტრს. აღნიშნული შეღავათები და შესაბამისი ჩანაწერი საჭიროებს

ცვლილებებს, კერძოდ მერიის შესაბამისმა სტრუქტურულმა ერთეულებმა მოახდინონ პროექტის შემუშავება და განხორციელდეს ქონების (მიწის) გადასახადისაგან მოქალაქეების განთავისუფლება უფრო მეტი ფართობით, მოქალაქეების ინტერესების გათვალისწინებით;

- ქალაქ ახალციხეში დიდიმამიშვილის ქუჩაზე მოსახლეობისათვის დამატებითი ჩასასვლელის (კიბის) მოწყობის საკითხი.

მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები:

- ახალციხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის შესახებ დადგენილებები;
- განკარგულება Nგ-1313223577 ახალციხის მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლების პრიორიტეტების დოკუმენტების შესახებ;
- ახალციხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ - დადგენილება N47;
- განკარგულება Nგ-1313223578 ახალციხის მუნიციპალიტეტის სამოქმედო ტერიტორიაზე წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ;
- განკარგულება Nგ-1313223576 საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ახალციხის მუნიციპალიტეტში 2023 წელს დასაფინანსებელი პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადებების მოწონების თაობაზე;
- ,,ახალციხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ქვეპროგრამის ,,ახალციხის მერის სტიპენდიები წარჩინებულ სტუდენტებს'' (კოდი 04 03) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან წარჩინებული სტუდენტებისთვის ახალციხის მერის სტიპენდიის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ - 2023 წლის 31 იანვრის დადგენილება N 4;
- ახალციხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტიდან საგანმანათლებლო, კულტურული და სპორტული პროგრამების ფარგლებში ფულადი საჩუქრის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ - 2023 წლის 31 იანვრის დადგენილება N 5;
- ,,ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, რომელიც არ არის საკრებულოს თანამდებობის პირი, უფლებამოსილების განხორციელების მიზნით გაწეული ხარჯების ანაზღაურების წესის შესახებ" ახალციხის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2017 წლის 1 დეკემბრის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - 2023 წლის 27 თებერვლის დადგენილება N 7;

- ახალციხის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ - 2023 წლის 27 თებერვლის დადგენილება N 10;
- საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ახალციხის მუნიციპალიტეტის დასახლებებში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ - 2023 წლის 27 თებერვლის N გ-13. 1323058001 განკარგულება;
- ,,ახალციხის მუნიციპალიტეტის მშენებლობის საჯარო ზედამხედველობის განმახორციელებელი ორგანოსთვის, მშენებლობის შეჩერების შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესრულების კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ'' – 2023 წლის 31 მარტის დადგენილება N 11;
- ახალციხის მუნიციპალიტეტის მიერ საზოგადოებრივი ტრანსპორტის - ავტობუსების სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების დადების განხორციელებაზე თანხმობის მიცემის შესახებ - 2023 წლის 9 ივნისის N გ-13. 1323160001 განკარგულება;
- ახალციხის მუნიციპალიტეტისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ბალანსზე რიცხული ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი არაფინანსური აქტივების ჩამოწერისა და ჩამოწერის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის წესი - 2023 წლის 21 ივლისის დადგენილება N 14;
- ,,ახალციხის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო ბიუჯეტის პროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ'' - 2023 წლის 21 ივლისის დადგენილება N 15;
- ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება"-სათვის უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე - 2023 წლის 23 აგვისტოს N გ-13.13232359 განკარგულება;

- საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით და ნარჩენების მართვის კოდექსით გათვალისწინებული თვითმმართველობის უფლებამოსილებას მიკუთვნებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის და საქმისწარმოების დოკუმენტების ფორმების, მათი შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების, ჯარიმის გადახდის, გასაჩივრებისა და სააღსრულებო ფურცლის გამოწერის წესის დამტკიცების შესახებ - 2023 წლის 26 სექტემბრის დადგენილება N 18.

მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა - 5.
მოსახლეობასთან შეხვედრები ხორციელდება სისტემატიურად, როგორც სამუშაო ადგილზე - ყოველდღიურად, ისე გასვლით შეხვედრებზე.
მოქალაქეებთან ინდივიდუალური შეხვედრების რაოდენობა - 55.
შეხვედრებზე მონაწილე მოქალაქეთა რაოდენობა - 190 მოქალაქე.

მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები:

- სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებთან დაკავშირებული პრობლემები;
- ჯანდაცვის საკითხებთან დაკავშირებული პრობლემები;
- ინფრასტრუქტურულ საკითხებთან დაკავშირებული პრობლემები;
- სოფლის მხარდაჭერის პროგრამების ფარგლებში შესასრულებელი ინფრასტრუქტურული პროექტების შესრულების ვადების დაცვა;
- ქალაქ ახალციხეში ე.წ „აბის" დასახლებაში სასაფლაოს გზის, სასაფლაოს გზაზე არსებული ხიდის, ქუთაისი და გორის ქუჩის დამაკავშირებელი გზის კეთილმოწყობა; ერევნის ქუჩაზე ხიდის რეაბილიტაცია, სტადიონის მოწყობა;
- ქალაქ ახალციხეში დიდიმამიშვილის ქუჩაზე მოსახლეობისათვის დამატებითი ჩასასვლელის (კიბის) მოწყობა.

მოქალაქეებთან შეხვედრების დროს გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად, მიმართული იქნა მუნიციპალიტეტის შესაბამის ხელმძღვანელ პირებთან და პრობლემური საკითხები დასმული იქნა საკრებულოს სხდომებზე.

დასმული საკითხების ნაწილი გადაწყვეტილ იქნა დადებითად, ასევე მიმდინარეობს დარჩენილ საკითხთა შესწავლა შემდგომი რეაგირების მიზნით.

საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა

საქმიანობა თანამშრომლობა სამთავრობო და არასამთავრობო სექტორთან,

მასმედიასთან, ტრენინგებში, შეხვედრებსა და სხვა ღონისძიებებში მონაწილეობა:

- 10 თებერვალს ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში'' დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით მოსახლეობასთან საკონსულტაციო შეხვედრები სოფლებში ივლიტაში, ზემო სხვილისსა და სხვილისში;
- 14 თებერვალს ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში'' დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით მოსახლეობასთან საკონსულტაციო შეხვედრები წყალთბილის ადმინისტრაციულ ერთეულში;
- 16 თებერვალს ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში'' დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით მოსახლეობასთან საკონსულტაციო შეხვედრები პამაჯისა და საძელის ადმინისტრაციულ ერთეულებში შემავალ სოფლებში;
- 31 მარტს ,,მეწარმეობის პრაქტიკული კურსი - როგორ დავიწყოთ და განვავითაროთ სოფლად ბიზნესი" - ამ თემაზე ახალციხის მუნიციპალიტეტში მეწარმეებთან და მეწარმეობით დაინტერესებულ პირებთან შეხვედრაში მონაწილეობის მიღება;
- აბის დასახლებაში მოსახლეობასთან შეხვედრა;
- 26 მაისის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში მონაწილეობის მიღება;
- 30 ივნისს სახალხო დღესასწაულ ,,ახალციხელობა''-ში მონაწილეობის მიღება;
- 8 აგვისტოს 2008 წლის აგვისტოს ომის 15 წლისთავთან დაკავშირებით გამართულ ღონისძიებაში მონაწილეობის მიღება;
- 14 აგვისტოს აფხაზეთში შეიარაღებული კონფლიქტის დაწყებიდან 31 წლის გასვლასთან დაკავშირებით გამართულ ღონისძიებაში მონაწილეობის მიღება;
- 27 სექტემბერს სოხუმის დაცემის 30 წლის გასვლიდან მიძღვნილ ღონისძიებაზე მონაწილეობის მიღება და ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული გმირების ხსოვნაზე პატივის მი გება;
- 12 ოქტომბერს ახალციხის მუნიციპალიტეტში სოციალური პოლიტიკისა და სოციალური პროგრამების დაგეგმვის მიზნით, მოწყვლადი სამიზნე ჯგუფების საჭიროებათა კვლევის ანგარიშის პრეზენტაციაში მონაწილეობის მიღება;
- 17 ოქტომბერს საქართველოში ვეტერანების დღის აღსანიშნავად, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლი ვეტერანებისათვის მიძღვნილ ღონისძიებაში მონაწილეობა.

შევსების თარიღი ---20.10.2023

წარდგენის თარიღი ---23.10.2023

ხელის მოწერა ----